

ქვეარი შაჟესა



გამოდის ყოველ კვირას
ლიტ. 3 მ. წ. ტ. № 10 კაპ.

რედაქცია „ჯვარი, ფაზისა“
კათოლიკების ქუჩა № 4

შინაარსი

დღევანდელი სახარება. — ქართულ კათოლიკეთა წერილი კარდინალთან. — ქართულთა კათოლიკეთათვის ეკარქიის გახსნა ქ. თბილისში. — კორესპონდენცია კონსტანდინეპოლიდან. — მოგონება გაბრიელ ეპისკოპოსზე. — სომეხ-კათოლიკეთა მღვდმარეობის აღსნა გამარცხებ. — ქართული ხელოვნება არანუჯის ეკლესიის ნაშთი. — ჯავახეთი ენოკრაფიული წერილი.

დღევანდელი სახარება.

მათეხი 34 — 42.

ფარისეველნი და სადუკეველნი შეკრიბეს ერთად და ჰკითხა ერთმან მათგანმა მსჯულის-მოდღარმან გამოსცდიდა და მას და ეტყოდა. მოძღვარ რომელი მცნება უფროს არს მსჯულისაშინა.

ხოლო იესო ჰრქვა მას. შეიყვარო უფალი ღმერთი შენი, ყოველითა გულითა შენითა, და ყოველითა სულითა შენით. ესე არს დიდი და პირველი მცნება, და მეორე მსგავსი ამისა. შეიყვარე მოყვასი შენი ვითარცა თავი თვისი ამათ ორთა მცნებათა ყოველი მსჯული და წინასწარმეტყველება დამოკიდებულ არიან.

თქვენო უოვლად უსაამფალოსებაჲმ ბაჴაჴინვალე კარდინალო.

კეთილო მწყემსო! და კარდინალო ყოველ კათოლიკეთა ერთა, დადგინებულო წმინდა პაპისაგან მოსარჩლეთ და მცველ მფარველთა კეშმარტი ქრისტის წმიდა სარწმუნოებისა!



ღვთის მადლით დღეს ჩვენ ბუნდოვრათ ვთვლით ჩვენს თავსა, რომ თქვენს დროს გვეღირსა ჩვენ სიკაცხლე, გაცნობა ჩვენის ავკარგისა და მისთან საკუთრად ყურადღების მიქცევისა ჩვენს აწინდელს სულიერს მდგომარეობის ვარემოვებაზე.

კარგათ მოგეხსენებათ, რომ ჩვენს სამესხეთო საქართველოს ქართველ-კათოლიკენი, დიდის ხნის აქეთ ჩვენი მამაპაპით მოყოლებულნი უწყვეტლევ დევნულნი და ტანჯულნი ეყოფილვართ, არა მარტო ურწმუნო მთავრობათაგან და გრიგოლიან მწვალებელთაგან, ისივე ჩვენი ერთმორწმუნე სომეხთ-კათოლიკეთაგანაც თანატოლებითა, მაგრამ ყოვლად ძლიერს ღმერთს მუდამ დაუცვივართ ყოველს წინააღმდეგ შემთხვევაში შეურყევლათ თავის წმიდა სარწმუნოებაში მტკიცედ!

მეცამეტე უკუნოების დასაწყისში, თამარ დედოფლის დ. ის რა შეირყნენ ქართველი კათოლიკობისაგან და მიემხრნენ ბერძნების მწვალებლობას. იმ დღითაგანვე არცერთ დროს, არ დავატოვეს ჩვენ, ნეტარ სხენებულთ რომის კათოლიკეთ სხედასხვა ორდენის მისიორონერ პატრებთან; როგორც ფრანჩისკიანთ, დომინიკიანთ, თეატინიან და იესოსიანთ უპატრონოთ, ყოველ წინააღმდეგ შემთხვევაში მტკიცედ. იქამდის მივიდა მათი კეთილ მოღვაწეობა! რომ ოსმალის გაძლიერებისაგან მეთექვსმეტე საუკუნოებაში თვითან, რომ გაუქირდათ ჩვენს ქვეყანას თავისუფლად მისვლა მოსვლა; შემწედ მოიწვიეს მისალი ქართულათ გადმოთარგმნეს და ლათინურს წირვას ქართულად კითხულობდენ ყვალად ლათინის მღვდელნი რომ არ გვყავდა სომხის უნითორები, და მათ დავვანდეს შესავლელათ ერთ ხანს; დღესაც არის ისევ ჩვენს ეკლესიებში მათი ნახმარი ბრვეიერნი. 1714 წელსა და მისაღები 1724 წელს დაბეჭდილნი. მათ სომხურათ უწირიათ ლატინის ტიბიკონზე და ჩვენ ქართულათ გვიგალობია და გვილოცნია. გვეოლიან ზოგან სოფლებში ქართველთ-კათოლიკეთ ტიბიკონის მღვდელნიც, როგორც სოფელს და სხვაგანაც, მაგრამ ყოველთ უფროსი მმართველთ სულ პატრები უფროსნი ყოფილან.

მერმე წელ წელა ლატინს ტიბიკონის უნი-

თორნი რომის სომეხთ-კათოლიკობაზე გადასულ არიან. მაგრამ ჩვენი ქართველთ ნაცია უფრო მეტად მიზიდულნი ყოფილან რომის კათოლიკეთ პატრებსზედა. მით 1828 წელსა, რუსის მთავრობამ ეს ჩვენი ქ. ახალიციხე დაიჭირა თუ არა, ოსმალისაგან. მაშინვე შრავალნი ჩვენი ახალიციხელი ნათესავნი და მეზობლები გარდასახლდნენ ქუთაისს. თბილისს, გორსა და ბათუმში და ეღირსნენ ლატინის ტიბიკონსა და დაწინაურდნენ რიგიანი საერო ხასწავლებლების წყალობით ღვთის სამსახურში თავისუფლათ; ჩვენ კი ტყვესავით გამონწყიდულნი დაერჩით უსწავლელ სომეხთ-კათოლიკეთ სასულიერობის ხელში, რის გამო დღესაც მოვდივართ მოგვევისით და ვსტირით, შემბრალებელ შემწყალე პატრონი არავინ გვეყავს თუ არ ერთის ღვთის მეტი.

1830 წელსა რუსამ შრავალი სომეხები გადმოასახლა არზუმიოვან ჩვენს საქართველო სამხრეთში, მათთან ერთათიყვნენ სომეხ-კათოლიკენიცა, ესენი ცოტა ხანს მშვიდობიანათ ცხოვრებდენ ჩვენთან ვიდრე ფეს მოიმაგრებდენ და დამტკიცდებოდნენ. მერმე კი აგვითვალისწუნეს და დაგვიწყეს თავში ცემა, პირველათ მიემხრენ არხიმანდრიტს პავლე შაქუელიანსა და 1845 წელსა რომის კათოლიკე კათუჩინის პატრები განადგენინა ერთიან საქართველოსაგაი, იმ დღითაგან დღემდის სომეხთ-კათოლიკე მმართველობის ნაირ ნაირის შეშოთობისაგან თავი ვერ აგვიღია დღითაგან დღეზე უარეს უსინდისობაზე მიდიან, კათოლიკე სარწმუნოება საკიცხავად გამხდარია სომ.-კათ. მმართველობის მწვერებისაგან მეტადრე. 1872 წ. აქეთ აღექსანდრეს მღ. არარატინის, მღ. სიშონ ასლანოვსა და მღ. არისტავე შაპანიანისა გარდაკიდებული, იქამდის მივიდა უწყსოვება, რომ 1893 წელს აჭრუმელ სომეხთ-კათოლიკე ერს შიაცემინეს საჩივარი, ჩვენს ეკლესიებში ქართულ ენის ხმარებას ზედა სამინისტროში, და ვისოსჩაიში პავლენის ბრძანებით, მოგვისძვეს ქართული სამოციქულო საბარების წაკითხვა, ქადაკება. სავარდის ლოცვა, ვალობა და სხვ. ეკლესიებში, რამდენიმე წლითი; რომლის მსგავსი ბარბაროსობა, ოსმალის მფლობელობის დროსაც არ მომხდარა!

თავითგანვე რომ ვიცოდით მათი უკუღმარ-
თობას, მღ. შაპულიანის სიცოცხლისა და შემ-
დგომადაც რამდენჯერ მოეწადინეთ ლატინის
ტიბიკონზე გარდასვლა. მივეცი თხოვნები
მუდამ სომ. — კათ. მმართველობის მძლავრული
ძალადობით ყველა უკუზადღებოდ დატოვებულ
იქმნა. თუ ვთქვით ჩვენ დღეს ამ კათოლიკო-
ბას ძლიერ ექვის თვალთ ვხედავთ; ამიტომ
რომ თავიანთ გვარგუნული უზომო ფანატი-
კობით მღვდელთ ერამდის გრიგორიან მწვა-
ლებელთ სომხებთან არ სწყვეტენ მონაწილე-
ობას.

ამისათვის მოგმართამთ მღვდელთ ერამდის
ჩვენს ქართველთ ტომის კათოლიკენი, ქ. ახალ-
ციხისა, ხიზაბაგისა, ელისა, უდისა და არლი-
სანი ჩეგბრივის ღრმა სიმდაბლითა და გთხოვთ
უმორჩილესთ. რათა გვიშუამდგომლოთ წმი-
და პაპთან, რომ რაც შეიძლება ერთის ფერ-
ხით წინ ახლავე მოგვაშორეთ სომ. — კათ. სასუ-
ლიერო მმართველობასა და დაგვაქვევრდომოთ
ახლავე სართოვის რომის კათოლიკეთ საეპის-
კოპოზო სამმართველოსა ვიდრე გარდვიყვანე-
ბდეთ რომის კათოლიკობაზედა სრულიად, და
მან იზრუნოს რაც კეთილი იყოს ჩვენთვის
მიუცილებელათ ღვთის დიდებისა და პატივი-
სათვის, რომ დაგვიშვიდდეს სული და გული,
რომლისათვისაც ვიქმნებით თქვენი დღევრძე-
ლი დღე კეთილდობისათვის მარად მლოცველნი.

**ქართველ კათოლიკეთათვის ეპარქიის გა-
ხსნა საქართველოში. პ. ტვილისში**

(შეშვეგი *)

ხოლო ძველი მწერლები სრულებით არა-
ფერს მოგვითხრობენ, თუ როგორ წარდგენ
ელჩები ბურგუნდიის დუკას წინაშე და ან რა
პასუხი მიიღეს ყვარყვარეს და გიორგის წერი-
ლებისა.

თუმცა ამ შემთხვევაში საქართველოს მთა-
ვრებმა ევროპაში, როგორც იმედი ჰქონდათ,
ვერ იშოვეს მომხრენი ოსმალების წინააღმდეგ,
იმედი მაინც სულ არ დაუწყვეტიათ, არც გული
აუტრუელებიათ რომის ეკლესიაზე. პირიქით
როგორც იმ დროის მთავრებმა, ისე მათ შე-

*) იხ. „ჯეორგიანული ენის შესახებ“ № 17.

მღვდებმა, რომის ეკლესიის ერთგულებას არ
ულალატეს. სამწუხიროდ, იმ დროის საბუთი
ბევრი გვაკლია. მაგრამ თანამედროვე მგზა-
რები ამას საქმიოდ გვიმტკიცებენ. მაგალითად
ვენეციელი ამბროჯიო ქონთარინი, რომელმაც
საქართველოში გამოიარა 1475 წ. ივლისის
5-ს, ამბობს რომ საქართველოში მრავალნი
კათოლიკებიც არიანო. (vi sono anche di
molti huomini catholici.) ჩვენს ნათქვამს
სხვათა შორის გვიმტკიცებს ორი შემდეგი სა-
ბუთი, რომელმაც ძლივს შააწია ჩვენამდე.

როგორც მეფე გიორგი მეგრემ გამოიჩინა
ერთგულება და ერთობა რომის ეკლესიისა-
დმი, ისე მისი შვილიც კოსტანტინე მესამეც
მაშის კვალს გაჰყვა. რომის პაპს ალექსანდრე
მეექვსეს (ეგონებთ 1495 წ.) შესანიშნავი წე-
რილი მისწერა და ელჩად გაუგზავნა ნილო
მონაზონი რავდენსამე სხვა პირთან ერთად და
გაატანა პაპისათვის ძღვენი. არ ვიცით კი, რა-
ში მდგომარეობდა ის ძღვენი. როგორც პაპის
წერილიდან სჩანს, ძღვენი პირადად სახმარი
რამ უნდა ყოფილიყო. კოსტანტინეს მიწერი-
ლი წიგნი ბევრი ვეძებეთ, მაგრამ აქამდე ვერ-
სად მივაგენით მისი კვალი. ხოლო პაპის პა-
სუხიდან სჩანს, რომ კოსტანტინე მეფეს წიგნი
მიუწერია და ელჩი გაუგზავნია უფროსიერთად
ამისთვის: რათა პაპს განუცხადოს თავისი ერ-
თგულება და მორჩილება, სთხოვოს დასტველ-
ეთის ხემწიფეთა გალაშქრება ოსმალების წინა-
აღმდეგ აღმოსავლეთის მთავრებთან ერთად და
ეგრეთვე სთხოვოს პაპს ფლორენციის კრების
გარდაწყვეტილება რომის ეკლესიასთან ძველი
ერთობის განსახლებელ დასამტკიცებლად. ამას
მოწმობენ ეგრეთვე ძველი მწერლებიც.

თუ რაოდნათ შესანიშნავი და სათნო სა-
ყოფელი ყოფილა კოსტანტინეს წერილი, სა-
ქმიოდ გვიჩვენებს პაპის შემდეგი პასუხი.

„პაპი ალექსანდრე VI. ქრისტეს მიერ ჩვე-
ნს საყვარელს შვილს კოსტანტინეს, ქართვე-
ლთა ბრწყინვალე მეფეს, მშვილობა და მოციქუ-
ლებრივი კურთხევა.

„თქვენის ელჩის, საყვარელის შვილის, ნი-
ლო მონაზონისაგან მივიღეთ თქვენი წიგნი,
რომლითაც სამოციქულო საყდრისა და ჩვენ-
დამი იცხადებთ უდიდეს ერთგულებას და პა-

ტივის ცემას და აგრეთვე გვილოცავთ და ყოველი მკაცრობელი ღმერთის მადლობას სწირავთ იმ გამარჯვებისათვის, რომელიც დარჩათ ჩვენაჲ სახე ლოვან შვილთა ისპანიის მეფეს და დედოფალს ზრწმუნოთა წინააღმდეგ^{*)}, ვგრეთვე დიდის სიამოვნებით ვსცანით აზრი და გარდაწყვეტილება ქრისტეს სარწმუნოების მტერთა წინააღმდეგ ვალაშკრებისათვის, რის გამო მზად ხართ წასასვლელად თქვენის შვილით და თქვენის მხედრობითურთ, რათა დავიხსნათ ეგოდენი დაზარალი ქრისტიანე და დავიბრუნოთ გაუბატურებული ტაძრები. ამიტომ გამოუთქმელის სიხარულით ვავიხარებით და ყოველი მკაცრობელი ღმერთის, როდნათაც ძალ გვედვა, მადლობა შევწირეთ, რომ თქვენს ხელმწიფებას გამოუჩენია სარწმუნოების ეგრეთი ერთგულება და სიყვარული, რადგან სავსებით ეთანხმება ჩვენს აზრსა და სურვილსა ქრისტიანე სარწმუნოების დაცვისათვის; მასთანვე გვიხარისთ ქრისტიანეთა გაძლიერება, ვინაიდგან უმეტესად სხვას არას ვნატრობთ, დღე და დამე სხვას არას ვფიქრობთ მას გარდა, რომ ეზოვით რამ საშუალება ჩვენის სარწმუნოების სასარგებლოდ, რაისა გამო მუდამ ვეხიზლობთ და ყველა ღონისძიებას ვხმარობთ. მასთანვე იმედი გვაქვს, კოსტანტინეპოლისა, იერუსალიმისა და აგრეთვე სხვა ადგილის საპატრიარქოებიც დავიხსნათ, რადგან აქაური ქრისტიანე მთავრები ამას შემოგვბირდენ. გარნა, სამწუხაროდ, ძველმა სულის მტერმა, ჩვენის ნატურის და სასარგებლო რჩევის წინააღმდეგ, იმ მთავართა შორის განხეთქილების ღვარძლი დასთესა. მაგრამ, ქრისტეს შემწეობით, იმედი გვაქვს, მალე შევარიგოთ და ესე ყოველივე ჩვენი ცდა მივაქციოთ წინააღმდეგ სარწმუნოების მტერთა, რომლებსაც არ გვეშინია და წმიდა ჯვრის დროშის წინამძღვრობით, იმედი გვაქვს, მათზე სრულიად ვავიშარჯვოთ. ამ სურვილით მუდამ გამსჭვალული ვიყავით და მეტადრე ახლა უმეტესად ვართ, რადგან დავრწმუნდით, რომ ქრისტეს საღიღებლად დიდად ერთგული და წაღიერი ხართ.

*) ფერდინანდო V და ისაბელამან არაბნი დამარცხეს და გარდაეს 1492 წ.

„აწ როდენიც შეგვიძლია უფლისადმი შეგაგულიანებთ, რეთა მტკიცედ სდგეთ და არ უღალატოთ თქვენს საქებურს წადილს და შეგულიანოთ ყველა თქვენი ქვეშევრდომნი და აგრეთვე უზრძანოთ მათ, რომ თქვენი წმიდა განძრახვის ასასრულებლად მოგეხმარონ და დაგემორჩილონ.

„რადგან საუკუნო ცხოვრებისათვის საქორა, ყველა ქრისტიანი სარწმუნოების საქმეში შეუერთდენ და დაემორჩილონ ეკლესიას, რომისას, სადაც ქრისტე უფალმა და მისმა მოადგილემ პეტრე მოციქულმა თავი და საყდარი დადგინეს ქვეყნის ყველა ქრისტიანებისათვის, ამიტომ უდიდესად მოხარული ვართ, რომ თქვენმა დიდებულებამ მართლმადიდებელ სარწმუნოებას მიაკცია ყურადღება და რაც ამ სარწმუნოების წრფელ დაცვას შეეხება, თხოულობთ ჩვენგან და სამოციქულო საყდრისაგან, რომელიც არის თავი ყოველთა ქრისტიანეთა. რადგან თქვენის ორატორის ნილოს პირით მევედრებით, თქვენს დიდებულებას გამოუგზავნო სარწმუნოების შესახებ გარდაწყვეტილება, რომელიც ჩვენის წინამოსაყდრის ნეტარ ხსენებულთ პაპის ეგვიპტის ძეოთხის დროს იქმნა დადგენილი ფლორენციის კრებაზე და რომელსაც მსოფლიო ეკლესია თუ ლათინის და თუ ბერძნისა ეთანხმება, რათა თქვენ და თქვენს სამეთო მისი რწმუნებით ღირსი გახდეთ საუკუნო ცხოვრებისა და აქაც გაიმარჯვოთ სარწმუნოების მტრებზე; რადგან უწყით რომ, მოციქულის თქმულისამებრ, თვინიერ სარწმუნოებისა შეუძლებელია კაცი ღმერთის სათნო ეყოს, ამიტომ აწ ხსენებულის კრების გარდაწყვეტილებას ჩვენს ტყვიით დაბეჭდილ წერილთან ერთად გიგზავნით. მასთანვე ვთხოვთ გამოაცხადოთ იგი ყველა თქვენს პროვინციებში და ბრძანოთ მისი დაცვა. ვინაიდგან, როგორც ქეშმარიტის ძისი მიერი ღვთისა იესო ქრისტესა ყველა შეერთებული ვართ, ეგრეთვე ვიყენეთ შეერთებულნი, დავიცვათ რა მისი მცნებანი და მოძღვრება, რომელიც დავისი ნაცვლისა და მის მოსაყდრეთა მიერ გამოგვიცხადა. ამიტომ ვსასოებთ, რომ, უკეთუ დაიცავთ ამ ერთობას, მტერთა მანქანებმა ვფარა გავნოსთ, რადგან გაძლიერებული იქმნებით

მის მიერ, რომელიც სძლევეს მთავრობათა. ეგრეთვე დიდს მადლობას ვუძღვნით თქვენს ბრწყინვალეობას ძღვენათათვის, რომელნიც გამოგვიგზავნესთ და დიდის სიამოვნებით მივიღეთ. მათ ვინმართ, როდესაც შემთხვევა მოგვეცემა, ვითარცა ვრცლად მოვახსენეთ ჩვენს საყვარელს შვილს ნილოს. ეგრეთვე სხვა რაც მოგვახსენა, ყველაფრის სიტყვით პასუხი მივეცით. რომით. 1496 წ. 10 ივლისსა, ჩვენის მღვდელთმთავრობის მეოთხე წელსა.

ამას გარდა არის, ერთი სხვა მოკლე წერილიცა, რომელსაც პაპი ფლორენციის კრების გარდაწვეტილებასთან ერთად უგზავნის კონსტანტინე მეფეს. წიგნში შესანიშნავი არა არის რა, მხოლოდ ეუბნება მეფეს: რადგან მთხოვეთ ეს გარდაწვეტილება, ჩვენც სიტყვა-სიტყვად ამოვსწერეთ და გიგზავნით. ამასაც იგივე ძალი აქვს, როგორც პირველში დადგენილს ჰქონდაო.

თუ რაოდნათ დიდი მნიშვნელობა ჰქონია კონსტანტინე მეფის წერილს და მის ელქსა, გვიჩვენებს იმავე პაპის შემდეგი წერილი, რომელიც რომიდგან ნილოს წასვლის დროს მისწერა არა მარტო თავის საბძანებლის მთავრებს, არამედ ევროპის სხვა მთავრებსაც, ვის საშთავრობებზედაც კი ნილოს უნდა გაეფლო საქართველოდ დაბრუნების დროს. იმ წერილით იგი ყველას სთხოვდა, რათა პატივით მიეღოთ ნილო, ვითარცა ელჩი, ყოველგვარი შემწეობა აღმოეჩინათ მისთვის და გზაზე თავისუფლად გაეტარებინათ. ერთიან მოგვეყავს ის წერილიც.

პაპი ალექსანდრე VI, ყველას და თვითეულს და სხ. მშვიდობა და სამოციქულო კურთხევა. ქრისტეს მიერ საყვარელმა ჩვენმა შვილმა კონსტანტინე, ქართველთა სახელოვანთა მეფემ, ვითარცა კათოლიკემ და ყოვლად მორწმუნე ქრისტიანემ, გამოგზავნა თავის ორატორად წმიდა ბასილის წესის მონაზონი საყვარელი შვილი ნილო, რათა მოედგინა ჩვენთვის და სამოციქულო საყდრისათვის თავისი თაყვანისცემა და ერთგულება. აწ ხსენებული ორატორი ბრუნდება რა უკან თავის მეფესთან, ვნატრობთ ყოველგან თავისუფალი გზა მიეტყოს. ამიტომ მთხოვეთ თქვენ, და საგანგებოთ

უბრძანებთ ყველა ჩვენს ქვემრდომ კაპიტანთ, ჩვენის ჯარისთ უფროსთ, ეგრეთვე ეპისკოპოსთ და საკათედრო ეკლესიის კაპიტულლთა და ყველა წესის მონაზონთა, რათა ნება მისცეთ, შემოხსენებულმა ძმამ ნილომ ყველა თავისი ბარგით და თანამზღებლებით, შეიძლოს უშიშრად და თავისუფლად წასვლა, მობრუნება, დადგომა, გავლა და ღამით დარჩენა ყველა გზებსა, ნავთსადგურებსა ხიდებსა და ქვეყნებში, როგორც ჩვენ სამფლობელოში, ისე თქვენსაში და ხარჯი არაფერი გადაახდევინოთ. მსგავსად გვევდრებით, რათა, უფლის პატივისათვის, სიყვერულით მოეპყრათ და თუ საჭიროებამ მოითხოვოს, გაატანოთ გზის-მცველნი და თანამზღებელნი. ეგრეთვე გვენებაეს, ყველა ძმათა და მონაზონთა მიიღონ ესენი თავიანთ მონასტერში და იზრუნონ ყოველი მათი საჭიროებისათვის ისე, რომ კმაყოფილი დავრჩეთ და ვაქოთ მათი ამაგი. ეუბრძანებთ ყოველს და თვითეულს ჩვენს და წმიდა რომის ეკლესიის ქვეშევრდომ ძმათა და მონაზონთა, მიუხედავთ ჩვენის ბრძანებისა და აკრძალვისა, მიიღოთ ხსენებული მონაზონი ნილო ყველა თავისი მზღებლებით ჩვენს ქალიქებსა და ქვეყნებში და მოეპყრად ყოველადის გულკეთილობით.

უფრო ხალისით რომ აღასრულოს ესე ყოველი და მოიქირნახულოთ თქვენი სული-სათვისაც, ამიტომ ღვთის მოწყალებით და ნეტართა პეტრესა და პავლეს უფლებითა, 200 დღის სასჯელს (სიკანონს) მივეუტყეებთ მათ, ვინც მიიღებენ ამათ და აღმოუჩინენ გზაში ყველა ნაირს დახმარებას. ამ წერილს ერთი წლის ვადა აქვს, რომით, პიენისისა, 1496 წ.

მნელად შეხედებით, რომ ამისთანა თავის გასაცნობელი ქალაქი პაპებს სხვი ელჩებისათვის მიეცესთ.

ამ საბუთებით ვასრულებთ ამ საუკუნეზე უკეთესად გვიჩვენებს ქართველი კათოლიკების რიცხვმრავლობას საქართველოში.

ამ საბუთებს მიუმატოთ ჯრუჭის სენაქიარიც, რომლის XIII — XV საუკუნეთა აღაპებში მრავალი იტალიური სახელია მოხსენებული. მაგ.: გვილიამ პატერა, ჯიროლ ძმა ჩუზნი, ასილია, ჯაუნ, სარ ჯილმედ, სარ

არბერდ, ძმა ტაძრელთა, ჯუან სირ პერკუ-
მანდური ტაძრელთა, ძმა პერ ტაძრელთა და
სხ. ეს არა თუ ამტკიცებს ქართველი ბე-
რებისდა იტალიელების შეგობრობას, არამედ
მათ სარწმუნოებრივ ერთობასაც ცხადად გვი-
ჩვენებს. აქილგან შეგვიძლია ის დასკვნა გა-
მოვიყვანოთ, რომ იმ საუკუნეებში საქართვე-
ლო, თუ მუდამ არა, ხშირად შერბთებული
ყოფილია დასავლეთის ეკლესიასთან. ამიტომ
მათი ერთმანეთის დაშორება უნდა დაეაბრა-
ლოთ იმ გარემოებას, რომელიც ხშირად, ზო-
თისურვილის წინააღმდეგ, მათ კავშირის ხელს
უშლიდა და აბრკოლებდა.

(გასაგრძობია)

სტამბოლიდან წერილი.

ივლის 1906 წ.

ბ-ნო რედაქტორა!

სტამბოლს მეოთხე საქართველოს ზეტარა ვა-
ლთა მტედ მონარულა ამ თქვენს გამოცე-
მულს „ვასან ჯვარ“-ის ფურცელზედ, რომელს
პირველი ნომრება მოეკავადა სამხაე ერთად. კე-
თალი იეთს მოღვაწებ: ამ დადიხნით ჩატრულს
და ფრად სუკუთოსა კვარეულას (ფურცლისა)
რაც შეკვიდა აქედან ეოველა ქართველს სს-
ლობას თათო ნომერს გამოაწერანამო, მკგრამ
აძიხან ჩეკნებურა (ახლდისის) ამბუბა თათქმის
არაფურთა. ჩატრობენ მის გაცემას ჩეკნი ახლ-
ცისის და მის სოფლებისა, სიადგანაც არაან წა-
მოსულება სულ ვეკლანინ და ხამეტარს 20, 30
და 40 წლის აქეთა. არ დარსება ხამოსულებს
სახელას გამო მამულის ხელე. ეინა ჯამად,
საც ახლა ვაჭრობენ, ქართველებს ბუდე ძეუ-
ლას ძეკლათუე. რომ დაქვათხი თაქანთი გა-
ჭიბუბასზედ გამასუხებენ: „ვაჭრობა ვი არა ქრის-
ტის ტარბილთა“. რადგან ვეკლანი თათქმის მო-
ხელბას მისდკენ რკინულობას, ვეკლანინც ერ-
თად შეწუხებულება არაან, თუ ასტუდა რამე ზო-
ლიტიკური მოძრათბა გადაჭამუთებულს თმალუთის
მთავრობას რომელიმე ეოთსეში.

ეს ზეტარა კოლონია სწულა - განხალეობის
მხრით ფესზე დგას. მათა შეკლება აწურთინებას
დაწუბამიდ თაქანთი ქარსულ შეკლებშია, რომ-
მეღნიც არაან, ფურთაქომიდ ვაქებას ბეკოდლითა—
ზამას. ქოფრას შეკლდა, რომელსაც ასრდლებენ ამ

დაწუბამითი სწულებას მეორე შეღან მადლ სს-
წულაებულში ზოგა სავაჭრო და ზოგაც სავა-
მომად.

დამკარნე ვართ ვაღვარო, რომ ამ შეკლებს
ქართველებს შეღა: ჰქვან; მკგრამ მოსწავდე
ესწულაებს ასში თრა ქართველი ძლიერ მოაბო-
ბა, დახარჩეუბი სულ უცხო კვარება არაან ხ-
მეტი ხწილა ბუკმნება, თათრება და სხვა და
სხვა კვარას კათოლიკება.

სწულა ეძლევათ ფრანგულს უნ: სედ და კვლავ
სწულათბენ: ტრანგულს, ბერძნულს და თათრულს
სედ მიწეგნით.

ეს შეღა: დასსა განათლებულმა მამ ჰეტრე
ხარასტერისშვილმა 1878 წ. აღსარულს იუო,
რომ მანშია სხელდოსნო სწულება უნდა მიეღოთ
წერვა-კითხვისთან ერთად; მკგრამ სავაღახუემ ხე-
ლი არ შეუწუო დაწვობს სხელდოსნო მოსულებს.
შოგნსზედ, რომელიც თხთულობდა დიდ სუქს.
1879 მ. გიადო მარტო შეღა:დ ზემოდ ხთ-
ქვამ პრთგრამათ. თათრას მთავრობას მიხეკული
ეკვს ეს ზეტარა ქართველებს შეღა: ეოველ
წლაე რამასნის მეთუთხმეტე დღეს, რომელსაც
წლაიწადში ერთხელ სულთან ჰქმიდა ათ სო-
ფიასს ჯამში წავა სოლმე, ამ შეღლას ძეწიკა
ილდისის (სხელმწიფო სარას) სარას ახლო
დაუხვადება სოლმე. ხელმწიფე ეოველწლაე თუ-
თუე მადლობას გადაუხდას სოლმე თამანის არ-
თმეკათ და მეორე დღეს სულაში მამბელანის
ხელთი ჩანუქარს ცაუგზავნის სოლმე მოწეგნებს
და მოკითხვას მასწავლებლებს.

ვეკლასზედ შეზანიშნავია 1893 წ. მოხდენი-
ლობა. როცა ამ შეღლას მუხიჯ ედგა და უნ-
რამდა წინ გამოტენე დეოტანტის ცხენმა თავა
მოტაცა და მოელა მუხიჯის დამკურელება და
დახარჩენი ბადნებაც სიროთ გადაჭქელა. ხონთ-
ქარმა აქვე დაინსა. მეტად შესწუხდა მანამ ათ სო-
ფელშია მიეადოდ და სლდამოდის რამთენჯერმე
ბადანება ავთისა. მეორე დღეს არადა (თავის მი-
როთ ნიძანა სიტეკა) გამოსცა, რომ ვეკლა წაქ-
ტეულს ბადლებს მოავრობის ხარჯთა ცაწურთინ-
ლაუხენ. ერთმა სცა აქვე ფეხა მოატესა. ეს
ბადანა ეო 13 წლისა. როცა გაკეთდა ხემ-
წიფემ იხახულა და თუმც მცორე წლოვანი ეოთ,
მანინც ჰუნქიას ჩაფრობა მასცა და დღესაც სარა-
ში მსახურობს აღბანის თუთქეში ჰუმბოენ თაბურ-

მად. როცა მოხვდა ჯერებაც და შეჯიბდა მედლებიც მაილა.

შეიღოს დირექტორობა. ზ. ანდრას წინამდგარისშვილმა მაილა 150 თქრო სხუქრად და ორდუხას მეთასე ჯვარა. ამისმა შემწეობა ზ. მეტობმა მაილა იგივე ჯვარა. ამევე შემოსევაშიდ მაინიკა სონაქარმა ორად და დამტავა ამ ქართულად მამ ოსუბის შეიღოს მოსწავლე აღსნება და მსწავლეობება ქადაგ ხანის მინდვრებზე გასწავრნებლად. თაჟისი ზეტარა ტემა გამოუტყავინ: ქადაგ ხანის დაუხვდა სონაქარის მხრავ. სჯარა შეიღოს შედამხედველს ასმადა ოჟამ. გამართა დიდა სდადა მწკანესე.

ხანდილვეს გაამართა ურადობა. შეიღოს მუხაჰმ დეჟერ სხემწიფო ლოცვა-კურთხევა: „ტახტა ლარ იახტა ოსმადაჟ“ მისავე ესე ზირველი ხორეჟა სოქვა ფრანგულად ზეტრა სტეფანე გოარგის ტემ. როცა განაცხდა სელთანის მინიკებულს ფართა თაჟის უფლებე ეველ სწავლა-განთლებების შემოტანის შესახებ თაჟის გადაჭამულს სამთავროშიდ. მისა სიუხვე ეულ-მომწვაობა გლახე დაზიანებულთა და სხე.

ზ. ანდრამ წარმოსთქვა შეიღოს პროგრამასე და აღსასრულსე, რომელაც არის რათა ქრისტიანე რჯულს მსახურებთან ერთად ასწავლობს ოსმალის მმართველობის ზეტავა და მორჩილობა მისეგან განწესებულს წესებზედ, რომელნიც მფარველ არაინ სხვა და სხვა გარჩეული რჯულების გამოტანა, უკეთეს კერძობას წესების: მოსწავლე-თაგანს წარმოსთქვს თათრულად ოსმ: და ყოველს ერთად ზარად აღადიდებს მრავალგამეორ ქართულად. ამ დროს ზეტ. სტეფანეს განკარგებულს რეგულიება სდადა და გული უფლებად. ასმ:ღ ფეჰმ თათრულად მსხუსა მასცა; დალოცა ზარველად სემწიფე სელთან ჰემუდა. ამ დროს აქ დასწრე სებუთებმა (აფანტებმა) შემოსიხეს „ამინ“ ვარის განყოფილებამ სემჟერ შემოსიხისა-აჟადაშიამ ხოხ ახშია“. მერე აღამდდა მითა სელწიფეობის მოწველებე განურჩევლად რჯულას; და კეარის ყოველი მანჩეჟა, რომელნიც თაჟის გადაჭამულს სამთავროში შრომობენ სწავლა-განთლებების შემოტანისთვის „მკრამ, დეჟმეტო ქართულად ბერ-მონაზნებმა სტელეკოდ დაამსხვრეს სელთან ჰემადის მოწველებე თაჟისათა

შრომით თაჟისოერ რაიმე ზოლოტიკური მნიშვნელობის სისტემის თაჟისთ შრომში და ახლად აღბობს უხუხსნა გადასახადის გადაუხდეინებისთვის

ეველ დიდებულად დათლოდა მკორედ სემწიფეობის ლოცვის მუსიკის დეჟერით.

მთელს ერთა კვირათ სტამბოლის გასეკუთას სლანდარეჟა მეტა ლარაჟერა აჟო. კერძობულს ქების გასეკუთება გამოსტეს ოქ წარმოთქმული სატყეება და ურთი გასეკუთა „სტამბოლი“ უმატებდა: „ეს ზეტავით ასე ურთის უფსითა კვარობის შეიღოს ოდესე მისცემიდათ კანსტანტინე-ზოლოშიდა“.

(შემდეგ იქნება).

მოგონებანი ვაზროელ ებისკოპოსზედ

(შემდეგ *)

ეკლესიაში ლოცვა ცისკარი იდგა. ლოცულობდნენ ქართულად — ვინდაც მაღალ-მაღალი მღვდელი, მშვენიერის მაღალი ბარიტონით ლოცულობდა მწუნბრზე, და მისთან პროტო-დიაკონი — საშინელი და საძაგელის ღრიალით ამბობდა მშვიდობიანობასა, თითქო ტადარი იძვრისო. თუ ყურს რიგიანათ არ დაუგდებდი, ვერ გაარჩევდი — ქართულად ამბობდა სიტყვებს, თუ სლავიანურად (რუსულად) — იმისთანა შეუსაბამო კილო და გამოთქმა ჰქონდა: ქართულ წირვა-ლოცვას სრულებით არ შეენის და არ უხდება კინტვა-ღრით ლოცვების წარმოთქმა, და მე, როგორც გამოიგონია განსვენებული ებისკოპოსის წირვა — მისი მთავრები ქართულად ასე სრულიად არ ლოცულობდნენ. ეს მთავარი არ ვიცი ვინ და სადაური იყო, მაგრამ საშინელი ქვეა-ქუხილოვანი ხმა კი ჰქონდა. იმას რომ მშვიდობიანობის ჩამოთვლაში ნამდვილი ქართული კილო, ხმის ამაღლებ-დადაბლება ემბარა და სიტყვები გარჩევით და გაკაფვით წარმოეთქვა, მაშინ მშვენიერება რამ გამოვიდოდა მღვდ-

*) იხილეთ ჯვარი ვახონა № 17.

ლი და მთავარი შეფარებული იქნებოდნენ: იმოდენა ხალხს მართლაც გამოგონებული ხმა უნდოდა, რომ ყველას გაეგონა. — შეუფერებელი კიდეც ის იყო, რომ ქართულად ლოცვას რუსულად მგალობელი გუნდი აძლევდა პასუხს. ეს რომ შეტად გულის ასარევი რამ იყო... დავმაგრდით ეკლესიაში და დავიწყეთ ნელ-ნელა მოძრაობა კუბოსკენ; მაგრამ არა ვითარი ფიზიკური ძალა გვექნდა იმ გვარი, რომ კუბოს მივახლოვდით. არავინ იყო ჩვენი შემწე, რომ მოგხმარებოდა, ეშველნა ჩვენთვის და კუბოსთან მივსულიყავით. საშინელი თავის მტვრევა იყო. გათავდა მწუხრი, გათავდა ცისკარი, სამღვდლოება ვაი-ვაგლახით და პოლიცინს შემწეობით ძლივს გავიდა ეკლესიიდან. გარედგან ხალხი უფრო მოაწვია. ჩვენ ახლა კუბოსთან მისვლაზედ აღარა ვფიქრობდით; დავრწმუნდით, რომ ეს შეუძლებელი იყო; მაგრამ გარეთ გამოსვლა. გაქირდა, ორი კარი იყო ღია და ორისვე აურიცლებელი ხალხი მოაწვია გარედგან... როგორც იყო დიდის ქაპანწყვეტით გამოვძვროთ გარეთ. საშინელი შხაპუნა წვიმა იყო; ბნელოდა ჩავსხედით ფაეტონში და წავედით ბინაზედ. № დიდი მწუხარებაში იყო: „ასე უნდა წავიდე, რომ არ ვემთხვიოვო“. გენაცვალე ხვალ აღრე ავდგეთ, მინამ ხალხი დაიწყებს მომარაობას, წავიდეთ და ვემთხვიოთ“ ღამე ჩვენი საფიქრებელი და საგონებელი იყო ის, როცა ვნახეთ... — ნეტა რა ელექტრონის ძალა ქონდა იმ ცხოვრებულს, რომ ასე მიიზიდვის, მიისწრაფის ხალხი უსულო სხეულთანა“ ვსწუხდით აგრეთვე, რომ ასეთვე ვარამი ამინდი დადგა. იმედს კი არ ვკარგავდით, — ხვალ კარგი ამინდი გამოვაო. გულ უბრყვილოდ ამბობდა: № „ეს ავდარი, წვიმა იმას ნიშნავს, რომ თვით ღმერთი სტირისო.“ ჩვენს მასპინძელს საკუთარი ფაეტონი უვანდა, და მეფაიტონეს ვუთხარით, რომ აღრე წავეყვანეთ. მაგრამ, ცოტა ჯიუტი ზ თავის ნებისა გამოდგა, და შეიღ საათზედ წაგვიყვანა. მაგრამ ახლა, ამ შეიღ საათზედ, იყო გასაოცარი სურათი. არამც თუ ეკლესიაში, ეკლესიის ახლოც კი არ შეიძლებოდა მიქარება, მისვლა. ყოველივე იქვე იყო ხალხით. ნელ-ნელა

წინწკლავდა, სცხრილავდა — Моросило. (მთელი დღე ასე გასტანა) კაცი ვეღარაფერს გააჩვენდა, ვერას გაიგებდა. მთელი ერთი ქუჩა — ტაძრიდან რკინის გზის ვაგზამდინ — შეკრული იყო ხალხის და ეტლებისთვის. ქუჩის სათავეში, ეკლესიის წინ მოედანზედ მარცხნივ ადგილი ექირათ მანდილოსნებს, მეორე მხარეზედ ხალხს. მანდალოსნებს ქვეით, ცალს მხარეზე, თითქმის ვაგზამდის, გამწკრივებულად იდგა მხედრობა, იარაღ აყრილი, უფროსებით და მუზიკით. მარჯვნივ — მოსწავლეები ყველა ქუთაისის სასწავლებლებისა. შუაში — დეპუტაციები ჯგუფი-ჯგუფად. მე ხალხში შემნიშნა ხონის დეპუტაციის მოთავემ (უფრო შარვაშიძემ) და დეპუტაციაში მიმიწვია. მე გადავედ. აღრევე ქალების ალაგვზედ გადაიყვანეს პოლიცის მოხელეებმა. ჩვენ დეპუტაციის უკან იყო ქუთაისის დეპუტაცია, მის — „კელისა“ (რედაქტორი); მის უკან — „ივერიისა“ — ქავეკავაძე და გოგებაშვილითურთ, და სხვა. ცხრა საათზე პოლიცისა დაიძრა. გადავანაბიჯებდით ათ ნაბიჯს და დაგვაყენებდნენ კიდე და კიდე ვოგზამდინ სამი საათი ვიცოცეთ. თვით ცხედარი სამღვდლოებითურთ ჩვენიდგან უკან დაშორებით იყო. ხან და ხან მოისმოდა გალობა. უკეთესი გუნდი იყო, როგორც ამბობდნენ გიმნაზიისა. ვოკხალს რომ მიუახლოვდით, კიბესთან დაგვაყენეს მწკრივით. გამოატარეს და ასვენეს კიბეზე, მას მიჰყვა სამღვდლოება. კიბეს ისე მიაწვენენ, რომ კინაღამ პოლიცემისტერი გაქულიტეს, აქ კი გავყარე ხონის დეპუტაციას რადგან უნდა მომეძებნა № 2 არც ვფიქრობდი გელათში წასვლას. აუარებელი ხალხი მოაწვია ვოგზლის გარშემო მინდორი და სერები ხალხით გაივსო. ეკლესიის გამოხვლის შემდეგ ექსარხოოს თურმე მოართვეს ეტლი; ბესარიონმა მოახსენა — წვიმს, ცივა, გასცივდებითო მაგრამ გაჯავრებულმა მრისხანედ უარჰყო. შემდეგ თურმე ქოლგა დაუქირეს თავზე, მაგრამ ამაზედაც განრისხებულა და უარუყვია. ასე ასე წამოჰყვა შემოსილი ვოგზამდინ; სამოსელი თვით ცალი ხელით აწეული ჰქონდა, გარეშე კაცს არ იყენებდა. ღია ვაგონზედ იყო გამართული ბალდახინი და იმაში დაასვენეს კუბო.

ყველაფერი ზემო ახწერილი ცოტად თუ ბევრად აწერილი იყო მაშინდელ დროის გაზეთებში. მაგრამ ვერა ვითარი აწერა ვერ გამოხატავდა სისრულით და სინამდვილით იმას რასაც თვით დამსწრე გზიძნობდა. ბევრი გამოჩენილი კაცი დაუსაფლავებით იუბილეები უდღესსწაულნიათ, მაგრამყველგან იყო და არის ხოლმე მომზადება. მოპატივება, პროპოგანდა, ხელოვნება, მაიმუნობა კი (ხეცურები რაფიელას იუბელუიაში)... მაგრამ გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავებაში, არა ვითარი საქიროება არაფრისა არ იყო, ყველა თავის გულის მიმზიდველობით მიისწრაფოდა, თავის ბუნებითის მიდრეკილებით მიდიოდა და პატივ-საცემად — გლეხი — თავადი, ღარიბი — მდიდარი, ქრისტიანი მართლ მადიდებელი, სომეხ-გრიგორიანი, ფრანგი-კათოლიკი, ურია და სხვანი და სხვანი, სამწუხარო სომეხების წარმომადგენელს და ურიათა რაბინს არ მისცეს ნება სიტყვების წარმოთქმისა, და ამის გამო ყველა იყო აღელვებული. რაბინი თურმე ეხვეწებოდა და ემუდარებოდა; ერთი ორი სიტყვა საჯაროთ მათქმევიენტო, თუ გწამსთ ღმერთო; ეგ იყო ყველა ჩვენი რჯულის განუჩეველად, მამა და მოძღვარი და პიროვნად ჩემი აღმრზდელი და განმასწავლებელი. მალ-მალ მიბარებდა და ბიბლიის შესახებ მეკამათებოდა. არჩევედა ჩვენსა და ქრისტიანთა სჯულსა და ეს კამათი-ქიშობა იყო ჩემი ერთად ერთი სასწავლებელი და საწვრთნელიო და ეს დარჩება ჩემს გულში აღმოუფრხველიო. ნამდვილი ღვთაებრივი კაცი იყო, — ეს ყველამ არ იცოთ, ვისაც მასთან კერძოდ მისვლა მოსვლა არ მქონდათ და მისი გრძნობა, შინაურულად არ გინახავთო. ის იყო მიზეზი, რომ ასე მყუდროებით და თანხმობით სცხოვრებდნენ იმერეთში ურია ქართველნი, და ის რომ ბოროტი, სენისაგან შეპყრობილი არ ყოფილიყო, ქუთაისში ამას წინათ მომხდარი არეულობა სრულდებოდა არ მიიღებდა ასე უსიამოვნო ხასიათს; ხალხის დასაწყნარებლად ეპისკოპოსს თვით მობრძანება არ უნდოდა! საკმარისი იყო თავისი ცნობილი კელეინიკი გამოეგავნა და ხალხი დაწყნარდებოდაო...

ამას მოუთხრობდა ყველას გამწარებული

რაბინი ოდეს დარწმუნდა, რომ მას ძალაობს საჯაროდ აწერა და დაესურათებინა გაბრიელ ეპისკოპოსი. მართელ საინტერესო იქნებოდა სიტყვაც სომეხთ-გრიგორიანის წარმომადგენლისა. იმას მაინც გაგვაცნობდა, თუ როგორ უყურებდნენ განსვენებულის ჩვენი მოძმენი სომეხნი? მაგრამ ეხლა გვიანდაა და ჩვენი გოდებაჲი არიან ამონი!...

(გასაგრძობა)

13 ივლისი, შუაღამი, № 150. 1906 წ.

ახსნა სომეხთ კათოლიკეთ საზოგადოებას *

მ. გ. ნ. მიუყენია, თუ მე რაც რომ დაფარულის მიმართულებით და რაც რომ ვიწრო მომხრეობის სასარგებლოდ „მხურვალე მიწერ-მოწერა გაიმართა... ზოგჯერ არი პირდაპირ კ. პატრიარხისა და რომის მაღალ აღსავლო მქონე სასულიერებასთან“.

ამ ადგილსაც უკვე მ. გ. ნ. ზომის გარედ ვადის. კანდიერად ვაცხადებ, რომ მე არც პირდაპირ და არც ხელქვეშ არც მხურვალე და არცა რა ცივი არავითარი მიწერ-მოწერა არა მქონია არც კოსტანდინეპოლის პატრიარხისა და არცა რა რომის მაღ აღსავლოსან სასულიერობასთანა, თუ გინდ კიდეც რომ მქონებოდა არ დავთელიდი მას ჩემს დანაშაულად. და რათა რომ დარწმუნდეს მ. გ. ნ. რომ მე სრულიად არ გავექცევი ჩემს ნათქვამ პასუხის მგებობის მიმდებლობისა, მე გარდაწყვეტილი მაქვს ამ ჩემი სტატიის ერთს ერთს პირს გავგზავნი კოსტანდინეპოლის პატრიარხთან და რომსაცა, წარწერით საკუთრად ამ სტრიქონებისა, იმედი მაქვს რომ კმაყოფილი დარჩება ის ამ ჩემის თავის გამართლებითა...

მ. გ. ნ. აღიარებს ერთს თავის სტატიაში თუ თვითონ თავის „კოლეგიელთათვის ჩემს ფარულად წერილნი მიუწერია საჯაროდ. ვაუფრთხილებია ისინი, რაც რამ გამოხატულობითი, დამუქრების განსაცდელზე“ სათქმელია წინააღმდეგ, ამბობს თუ ბ. სარუხანი ბათუმს წასულა გაუცნია იქ ჩემი (მ. გ. ნ.) წერილუბის შინაარსიო. „ის მეტად საშინლად შემეცდარია! მე არაოდეს არ გაეყუილივარ შეთვალ-

ყურულ მყნოსველობას, თუ მ. გ. ნ. სად, როდის და ვისთან რა წერილებს სწერას. საკუთრად ამ შემახვევაში ბოლოს მე არავისთვის არც მიკითხია რამ და არცა რა გამოვიარა მის რომელსავე წერილზედა...

მ. გ. ნ. საშინლად იწუხებს თავისა არ ზოგავს არც ერთ ღონე საშვალეებას დასარწმუნებლად თავის წამკითხველთა, თუ მე თავითგანვე რაც რამ ორკოფოვანი როლი მითამაშნია. წინააღმდეგად წავსულვარ ჩვენი საზოდგალო პეტციის გარკვევას ზედა „თავის შესაყვარინებლად ჩემი აჩემებულის მომხრისას. რომელიც როგორც თუ ტერ სარქის ტერ-აბრამიანი იყოს! საცნელ სასაცილო ის არის, რომ ის ერთი შემთხვევა, რომელიც როგორც მტკიცე ფაქტად მოაქვს, რომლის გამო მას თავის ფეხზე უბენია და ვთქ თქ დაუძახნია, აგრეთვე იქამდის შეშლილია, ვიდრე უსინდისობის დარგამდის მისულა. სწორედ ეგ შემთხვევა საბუთია რომ მე სრულიად და უორგულო რიგად სარწმუნო დარჩენილვარ ჩვენი მიცემულის პეტციისა და არა თუ წინამდეგი. გვეტყვიო საქმის სათავეს და დიე წაიკითხონ ხელახლავ მ. გ. ნ. სტატიის ის ნაწილი და შეაფარდონ.

მარტის თვეში მე 2-ჯერ მიმიმართიანამესტნიკის შემწისა სულთან-კრიმ-გირეისათვის ჩვენი პეტციის საკითხზედა და მითხოვია მისგან დახმარება. გამოვიარა მისგან, თუ ნამესტნიკი თავის საშახურის რიგად უკვე კიდევ იცავს ჩვენს თხოვნასა, აგრეთვე ტერ-პოლოს ვ. ნაპაეტეიანის არჩევასა. მე ამის შესახებ შემიტანინებია მ. გ. ნ. იმ დროს ერთი წერილი მივიღე ტერ-სარქის ტერ-აბრამიანისაგან, რომელში მაცნობებდა მე რომითგან საპაალიან კათოლიკოსის მიღებულ წერილის შინაარსს. სადაც კათოლიკოზი მოუთხოვდა კარდინალ მერრი დელ ვალისთან ერთად ენახა ჩვენის საკითხის თაობაზე და მერმე დასძენდა სიტყვა შემდგომსა: „ჩვენის შეხედულებებისაებრ ყველა პარტიები შეერთდნენ ერთგულად და ერთსულათ უნდა იმრქმედოთ. მოგვწერეთ ჩვენ თქვენ (ტერ-აბრამიანის) სახელის გარდა სხვა ორნი დასახელებული პირნი, რომელნიც დეთის ნებისაებრ და ახლანდელი გარემოშსაებრ გამოსა-

დგი იყვნენ ეგრეთი საშახურისა, რათა ჩვენც წა. ტახტთან პირდაპირ მოლაპარაკებოთა ვეცადოთ წინწაიყვანოთ რუსეთის სომეხთ-კათოლიკეთ ეს განმაცხოველებელი თხოვნა. ეს ესრედ აცნობეთ თქვენს ნაცნობებს და მრთელ კლერთა“). კ. პოლის პატრიარქ კათოლიკოსის აგერ ამ წინადადების გამო არის, რომ მ. გაბრიელ ნაპაეტეიანი მღვდელი იმისთანა სიმდაბლითა და წმინდა მკერეტელობითა სწერს, „განკარგულება ამისთანა, რომლის ეონდალეების აკლება აობრნბისაგან უფრო საშინელი ღ უფრო სამწუხარო არისო“... ტერ-სარქისის ეს წერილი მივეცი წასაკითხავად მ. გ. ნ. და რადგან მ. გ. ნ. ტერ-სარქისის სთელიდა თუ თავის და თუ ერთიან მთელი ვენეტეელ მიხითარიანების შეურთებელ მტრად იქ ამოიკითხა, რომ ტერ-სარქისი თავის მხრით ჯეროვნად სთელიდა წარედგინათ ორნი რუსის ქვეშევრდომი მიხითარიან ვარდაპეტები ე. ი. მ. დიონ. კალატოზიანი და მ. ჰამზ. საფარიანი და თავს მხრით თხოვდა მე. რომ ამ საფანზე მომელაპარაკა მ. გაბრიელ ნაპაეტეიანთან და ჩვენი გარდაწყვეტილება სასწრაფოდ გვეცნობინება მისთვის.

უკე თუ ტერ-სარქისის და მე გვეკონდა როგორიმე „უქანასკნელი აბრი“, როგორსაც უსამართლოდ რომ გვეწამებს მ. გ. ნ. ხომ სრულიად არ გაეუზიარებდით ამ ყველას ღ ემოქმედბდით ჩვეი მათ დამოუკიდებლად და ბიძა მისის მომხრეობის წინააღმდეგ! მე არ მინახამს მ. გ. ნ. თავის თითზედ კენა, მაგრამ დაეხედე რომ ის უზომოდ არეული იყო მისგან. ჯერ პირველად რაკი ამ ჯერათაც, როგორც აქას წინეთაც არავის მაინც უორმისათვის მისი საკუთარი მომხრეობა არ წარუდგენია. მეორედ რომ ექენეული იყო, რადგან იმ ორ მიხითარიან ვართაპეტების გვერდში იყო აგრეთვე ტერ აბრამიანის სახელი, შეიძლებოდა მომხდარიყო, ვატეიანის წინამომზადებულობით ტერ აბრამიანის არჩევა, და ეს სწორედ მომკვდინებელი წყალულება იქნებოდა მ. გ. ნ. ისთვის რათა რომ არავითარი ექვიანობა არ მიმეცა პატრიოზისათვის მიმეცა პატრიოზისათვის, მე მოვიწვიე მეორე მწვერნი ბიუროსი კიდევ მოხალაპარაკებლად, ერო

პირადგარდაწყვეტეთ ბეჯითად დარჩენი ვიყავით იმ ჩვენს მიცემულს პეტრიკის ვითომც ტერ პოლის ნახაპეტიანის მომხრეობაში, ესევე ჩვენი აზრი გარდავეცი ბათუმს ტერ-აბრამიანს, რომ უფრო მეტი ძალა მისცემდა საქმესა, მთელი დღეები ვიშრომე გარდაეთარგმნე ჩვენი ვრცელი პეტრია, ერთი ვრცელი განცხადება დავსწერე ბიუროს მხრით კათოლიკოსთან, რომ მაშინ რომში იყო, ვთხოვდით რომ დავცვა ტერ-პოლის ნახაპეტიანის მომხრეობა, და ერთი საკუთარი წერილიც ჩემს ნაცნობ ვარდაპეტის ერთთან, რომ ის წერილნი მიერთებია კათოლიკოსისთვის. ხელმეორე მოვიწვიე ბიუროს წევრები, რომელთაც მთლად გარდაიკითხეს მოეწონათ და ხელი მოაწერეს რომლებშიც იყო მ. გ. ნ. და გავუგზავნე რომში.

ესეც არ ვაკმარე, მე თვითან წაველ ბათუმში, ენახე ტერ-აბრამიანი, მისი თავმჯდომარეობით მოვიწვიეთ მთლად ართინელები საზოგადო კრებაში საჯაროდ დასხვა გავლენიანი პირნიცა და იქ ჩემის წინადადებით გაიჩინებოდა მტკიცედ დგომა ტერ-პოლის ნახაპეტიანის მომხრეობაზედა. და როცა ჩვენ ამ საქმეს ვაკეთებდით რჩევით კათოლიკოსის შვეგულიანებისა „ერთგულად და ერთსულად გარჯითა“ იქითყენ მ. ვაბრიელ ნახაპეტიანი, როგორც თვითანვე თავის პირით აღარებს. „მშაკი“ გართული ყოფილა, ფართული წერილები უწერია მარჯვნივ თუ მარცხნივ და აუღლელებია ერთი ტერ-აბრამიანისა და ჩემს წინააღმდეგ, როგორც თუ ჩვენ მისი ბიძის მოწინააღმდეგენი ვიყავნეთ... ავერ ამ ადგილას არის იმავე მ. გ. ნ. შევნიერის კილოთი წარმოთქმული, რომ მი წამსვე ჩამოვარდება „გაცვეთილი ნიღაბი“ და დაგლეჯილი კრავის ტყავის ქვეშ აღმოჩენილია საეკლესიო მელის ტყავი. მაგრამ შეუდგინოთ.

ბევრად განსხვავებულია მ. გ. ნ. შეხედულობა კოსტანინეპოლის ჩვენი კათალიკოსის შესახებ, ის სწერს: „მთელმა კავკასიის სომეხთ კათოლიკეთ ერობამ არა ფერი იცოდა და არც არავითარი იმედს იქონიებდა კ. პოლის პატრიარქისგან და მის რომში წასვლას არავითარი დამოკიდულებას ქონდა შეეძლო კავკასიის სო-

მეხთკათკების საქმეებთან. „მე მარტივად ვერ წარმომიდგენია თუ რა სახელი დავარქვა მ. გ. ნახაპეტიანის ასეთს ქცევას! როგორ კადრულობს ის დარაჯამდის მიკბ-მოკიბვას, როცა რომ მან კარგად იცის, რომ კავკასიის სომეხთ კათოლიკეთ ერობის ერთი დიდი ნაწილი მთელი ართვინისა თემობა (ყარსო, ბათუმი, ართვინი, არტანუჯი, არტანი, ოლთი და სხ.), ჯერ კიდევ კ. პოლის პატრიარქის სულიერ ვუწყებაში არიან და არა სარათოვის ლატინის ეპისკოპოსის ქვევერდობაში. უკეთუ ერთი ვინმე მ. გ. ნ. არ სურს ცნობა კაპოლის პატრიარქის იმ უფლებასა, ეგ არნიშნა, თუ პატრიარხი თვითანვე გვრჩეულად უნდა დარჩენილიყო, არ უნდა ეზრუნა თავის სამწყესოს სულიერს საქროებაზედა, რომში ყოფნის დროს არ უნდა ემეცადინა დასაბოლოებლად იმ უწყსრიგო გარემოებისა, რომელიც უფლობს აწ კავკასიის კათოლიკე სომეხების საეკლესიო საქმეებში, მ. გ. ნ. ეგრედ კადნიერებას ავერ შეიძლებდა“ — ზომაზედ შეტად საცინელი იქმნებოდა, უკეთუ უზომოდ გლისპი არ ყოფილ იყო, ერთი სომეხ კათოლიკე მღვდლის გამოისად.

თავის რაგარედს წინააღმდეგ მოლაპარაკობაში მ. გ. ნ. იმისთანა არეული მდგომარეობა მიუღია, რომ უარყოფითა კ. პოლის პატრიარქის „დამოკიდულების“ სიმართლისა, ის იმავე დროს მისაყვედურებს მე, რომ რისთვის დროზე არ გავუცხადე პატრიარქის რომს წასვლა, რომ „ერთი სხვა პეტრია შეგვედგინა და გავვეგზავნა რომ კათოლიკოსისთვის და გვეთხოვა, რომ მას თავისი მაღალი ავტორიტეტით დავცვა და პატრესაკემად ეჩვენებინა წა, ტახტისათვის ჩვენი გავლილი წლის ნამესტნიკთან მიცემული პეტრიკის შინაარსი სრულიად“. მ. გ. ნ. უსვინდისობა იმ დარაჯამდის მისულია, რომ გარემოებაში კიდევ ორპირობს. არ მოიხსენიებს იმ სტატის, რომ სწორედ მისთანა თხოვნის წერილი ხომ თბილისში ჩემის წინააღმდეგითა უკვე შედგენილია რომაში კათოლიკოსთან!

მოვიდეთ ახლა მ. გ. ნ. სტატის ერთ სხვა წერტილზედა, რომელსაც ის იხსენიებს თავის პირველ სტატიაში „მშაკისა“ და რომელი ახ-

ლაც იწერება და იმორება და განმარტებას თხოულობს. ეგ წერილი არის ჩემი ადრინდელი ერთი სტატიის ნაწერი, თუ „სომეხთ-კათოლიკეთ“ საეკლესიო მმართველობის საქმის საკითხი გვიანდება ნაირნაირი უსარგებლო გარემოებების წყალობითა.“ ახლა მე მაგასაც ვაგმარტამ, რომ მ. გ. ნ. ერთა გულმან გაუსვენოს, აგერ,

ჩვენ ჩვენს საოხოვრის წერილში „სათემო მმართველობის“ სამსახურისათვის წარდგენილი გვყავდა ტერ-პოლოს ვ. ნაჰაპეტიანი, მაგრამ მის დასამტკიცებლად არ კმარა ჩვენი ამორჩევა. ამ საკითხში ორი უსარგებლო გარემოება არის, რომელნიც ურთიერთთან ისე შეკავშირებულნი არიან. რომ შეუძლიან ერთს საზოგადო მიზეზად დაუუძნება. 1903 წ. საკეისრო განკარგულებითა სომეხ-კათოლიკეთ თემის მმართველი „დანიშნული“ არის ვატიკანის და რუსის მმართველობის მინდობილი შინაგან საქმების სამინისტროსი ერთ მეორის თანხმობითა. სამინისტროსაც თავის მხრით სასამსახურო წერილთა მინდობილი აქვს სარათოვის ლატინის ეპისკოპოსისათვის, როგორც ახალციხის სომეხთ-კათოლიკეთ სულიერ მალას მფლობელსა, რომ ის თავის მხრით წარუდგენს ერთს შესაფერს პირა „სომხის წესის და სომხის ვვარის კათოლიკე მღვდლებთაგანს“ ეგრეთი სამსახურისათვის. ეს როგორც სჩანს კიდევც რომ რუსის მმართველობამ ლატინის ეპისკოპოსის შეუკითხავად პირდაპირ რომ წარუდგინოს ერთი ვინმე, ვატიკანი არ დაამტკიცებს სანამ წინათვე იმ ვარდაპეტის შესახებ ადგილობრივი ლატინისსულიერ მთავრობის აზრს არ ვაიგებს! აგერ ამ ნასკენიანი მდებარეობისაგან იყო, რომ მე რამდენჯერ თუ სიტყვით და თუ წერითა მიბეჯითია, ვიდრე მე თვითონ რომში ჩავსულვარ, რომ კავკასიის სომეხთ-კათოლიკეთ უნდა ჰყავდნენ თავიანთ საკუთარი ეპისკოპოსი დამოუკიდებლად ლატინების მმართველობასა! აწ როგორც სჩანს მთელი ნიშნებისაგან. სარათოვის ეპისკოპოსს არ უსურვია მიღება ტერპოლოსის, მომხრობისა, რადგან პირველად ტერპოლოს ნაჰაპეტიანი 85, წელ გარდასულია მოხუცებული, თუმც ამბობენ ტანმრთელია, მეორედ და შეტადრე

ტერპოლოს ნაჰაპეტიანი მ. გაბრიელ ნაჰაპეტიანისა და მსჯელობს რომ ის თავის მოხუცებულების მიზეზით უნდა ეხელქვეითოს თავის ძმისწულის გავლენასა. სოლო ეს მისი ძმისწული მ. გაბრიელ ნაჰაპეტიანს გადწყვეტით ვამბობ ცხადად, არა ვითარი ნდობა არა აქვს დამსახურებული არც ადგილებრივ სასულიერო მთავრობასთან და არცაა რომში. მაშასადამე ყოვლიფერი ჩვენი მიდის იმ დასკვნამდის, რომ ჩემს მოყვანილ „უსარგებლო გარემოებას“ ერთი საზოგადო საძირკველი აქვთ და ეგ საძირკველი და საქმების დამბრკოლებელი მ. გაბრიელ ნაჰაპეტიანის გვაგმონება არის. A bon entendeur salut.

მე ჯერ კიდევ შეშეძლო ვრცლად მოეპყობოდი მ. გ. ნ. სტატის განხილვისა. მაგრამ ვგონებ რომ ესეც განმარტებულია ნათლად წამკითხველ სომეხთ კათოლიკეთ საზოგადოების მაგალითის მისაცემლად საქმის მდებარეობის თავობაზედა. ახლა მივიდეთ მ. გ. ნ. შესახებ. სასურველია, რომ თუ კიდევ ის საგაზეთო სარბიელზედ გამოვა ამ საკითხის მიზეზითა, უკეთო არ შეუძლია ხელის უკან წაღება უკუღმართი ამრვედამრველობისაგან. მაინც გაფრხილდეს მისთანა სიტყვების წამოსროლისაგან, როგორც არიან „ვანდალების აკლებს აოხრებისაგან უფრო საშინელება!“ (კათალიკოსის განკარგულების შესახებ ძველი მოჩვენებითი (ტერ აბრამიანის ადრესისა) „ეკლესიური მელა“ (ვინ არს ნეტარ ვიცოდე) და სხვა ამის მსგავსი სიტყვებისაგან, რომდუბიც სრულიად შეუფერებელია კლერიკებისა. მეუ ისიც თავის მიხითარისტობი მიქაძული სასულიერო მწერალი კალმისთვის.

სარუხან.

ქ. ახალციხე. მესხი იე. მღვ. გვარამაძე.

ჯავახეთი

(შეშევა *)

მართლ მაღიდებელ ჯავახნი კათოლიკეთაგან ცოტა განსხვავდებიან ჩვეულებაში. აი მართლ მაღიდებელ ჯავახთა შეხვედრა ახალწლისა.

*) იხ. „ჯვარი ვაჟისა“ № 17

მღვწის წინ დევი შედგენილია. ზე-
 დევი სწავლა უნდა მომზადონ და მოხდონ
 ამ დევი. წიგნები ტახტის: ტახტისზე სწავლა
 სწავლა დაწვინილი: ვაშლი, კარგი, ტახტის
 იმდენი სწავლა, მღვდის ზევი. ჩამოაყდრეთ
 შვიტახტისზე.

დღეს, მღვდის, — ამ ტახტის, ყველამდე
 აუცილებელი და სწავლა ყველამდე სწავლა ზევი-
 ტახტისზე ვაშლი სწავლა სწავლა: სწავლა,
 სწავლა, მღვდის და მღვდის და სწავლა

ზევიდევი დევი,
 მწავლობელი დევი,
 დევი სწავლა, ყველა მწავლობის მომ-
 ვევი

ჩემი ვაშტისზე ამ, უფროსი ზევი
 ვაშტისზე, რომ ვაშტისზე წიგნები
 წიგნი დევი, მღვდის-ზევი ვაშტისზე რამ-
 დევი იმდენი იმდენი წიგნი: დღეს ყველა
 წიგნები იმდენი იმდენი.



ქართული სკოლა, მღვდის დევი სწავლა მღვდის (უფროსი მღვდის)

წიგნები: მოგვითხრობენ და წიგნები
 ვაშლი, — მღვდის წიგნები, მღვდის მოხდენილი
 და ქართული, ქართული... და მღვდის მოხდენილი ვაშ-
 ტისზე... მღვდის მოხდენილი წიგნები ვაშტისზე:
 და ამ მღვდის მოხდენილი მოხდენილი სწავლა: მღ-
 ვდის ზევი იმდენი მოხდენილი სწავლა, ვაშლი და
 სწავლა წიგნები მოხდენილი სწავლა — იმდენი
 და იმდენი მოხდენილი ვაშლი იმდენი სწავლა სწავ-
 ლა წიგნები, ვაშლი სწავლა სწავლა სწავ-
 ლა, სწავლა სწავლა და იმდენი:

საველია

ჯავახები წიგნები აცხადებენ და იმდენი სწავლა
 და სწავლა სწავლა და სწავლა სწავლა სწავლა
 ვაშლი ვაშლი ვაშლი, რომელი ვაშლი
 ვაშლი ვაშლი სწავლა და სწავლა სწავლა, ამ
 დღის იმდენი ვაშლი ქართული იმდენი
 სწავლა და სწავლა ვაშლი ვაშლი ვაშლი და
 ვაშლი ვაშლი: ვაშლი ქართული (ზევი),
 ქართული, სწავლა, სწავლა და სწავლა, ჩამო-
 დევი ვაშლი, ამ დღის ვაშლი.

სადაც საერთოთ შეყრილი იქაური, ან მეზობელი სოფლის საღბიც და ფერხულს, ლეკურს, ყარაბაღულს და მისთანობას თამაშობენ.

ან ქილაობენ ფალანგები, ან პატარა ბიჭებს აქიდავებენ. მოხდება ხშირათ კამეჩები

და ხარებიც აქიდაონ ხოლომე, უკანასკნელი ყანებში. თამაშობენ თულოს, ხტომანს, ბურთს, ჯირითობანას. სტლიან საგმირო ვარჯისობაში თავიანთ თავებსაც; ისერიან ცალი, ან ორივე ხელებით დიდრონ ლოდებსა, განსაზღვრულ დედნამდის და მანთანობას... შეიკმაზებიან ბერებიც...

უველიერებშიაც მოუხშირებენ ხოლომე ქართველ კათოლიკე ჯავახნი ქორწილებსა, მხოლოდ მართლმადიდებელნი ხორციელში.

დიდმარხვის პირველ ორშაბათ ჯავახნი ასე ულოცვენ: „მარხვალაცვისა, აღდგომა სიმხიარულისა“.

საღდგომით

ჯავახი ქართველები სარწმუნოების მიუხედავათ (უფრო ქრისტიანენი), აღდგომას სამი კვირის წინეთ, დადიან რამდენიმე გროვებათ, ღამით, სოფლიდან სოფლათ და კვერცხებს ჰკრეფენ.

რასაც ჰონა ჰქვიან. მეკონეები მივლენ ერდოდან ჩაუკიდებენ ერდოში, ან ბუხარში კალათას და სამი ნელ-ტკბილი ხმით მიუღიღინებენ:

პირველი დასი, მღერის:
ჰონა, ჰონა, ვარდის კონა,
ალათასა ბალათასა!
ხელი ჩავკარ კალათასა;
თითო კვერცხი ჩვენ-მოგვეცი
ღმერთი მოგცემთ ბარაქასა.
მეორე დასი უბანებს პირველს:
აღვა ქალი, დაძრა ტანი,
დადვა გობი: ზედ საცერი;
მუშკი სცრა და, ჰალვა ზილა,
აცხო მათი ქადა, პური,..
ისევე-ი-ლი დასი
ჰონას ვიყავ, ჰონა ვნახე...
მარსკულავსა დავემზავსე.
მთვარეს კაცი მოვეზავნა,
აქიყავ და არა მნახე..

მე II-რე დასი

— არ მეცალა გენაცვალე!
შვილსა პერანგს უკერავდი;
ზედ უგებდი ოქროს დილსა
აბრეშუმის ღირკილითა.

აქ კიდე ბევრს სხვა კერძო გალობებსაც იტყვიან. მაგრამ ჩვენ, მხოლოდ შესაფერო აღნიშნეთ აქა.

ტკბილ ღიღინზე მალე გამოვდივებით მძინარეთა, რომელნიც დიდის სიამოვნებით უსმენენ. გათავებისას ადგებიან ღოგინიდან ფშუნვით ქალები, თან კაცები და ჩაუწყობენ ჩაკიდულ კალათაში კვარის სინათლეზე, რამდენიმე კვერცხსა და ისე ააწევიებენ მეკონენა „აშენებას“ უსურვებენ, როცა ამოიღებენ კალათიდან კვერცხებს, გადააწყობენ სხვა დიდ კალათაში, რომელიც თან დააქეთ და იქიდან გაშორდებიან და მალე მეორისას დააიწყებენ „ჰონას“.

კათოლიკე ჯავახნი წითელ პარასკევს და დიდშაბათს ყიდულობენ კვერცხებზედ ნიშნარტს (სეფისკერს), რომელსაც კარი კარს აყიდვინებს მღვდელი ამ სეფისკერს აღდგომას, დილით ნამცეცებით დაუმტკრევენ ხიზანს. გახსნილებენ მთელი დიდმარხვის განმავლობაში ნამარხულს პორსა და ისე სჰამენ ხსნილსა ან აკურთხებიებენ მღვდელს კვერცხს, ნამცხვარს და მით გაიხსნილებენ.

ახალ კვირმდის, ან სამს დღეს მაინც კვერცხების ერთ მეორეზე ცემა იციან. რასაკვირველია, მტეხელ კვერცხებს ირჩევენ ხოლომე, რომ ბევრი გატეხოს, რადგან გამარჯვებულ გატეხილ კვერცხს ივებს.

აღდგომის პირველ დღეს, ხოლო თავს თავზე მტეხლობენ, ბოლოებზე კი არა, ხოლო აღდგომის მეორე და მესამე დღეს, შემდეგაც კი ბოლოებითაც მტეხლობენ. ჯავახეთში კვერცხს წითლათ, ენდროსაგან ღებავენ საღდგომით; ზოგან ჰიის ფერითაც კი ღებვენ ლურჯათაც.

ჯავახეთში, წესათ იციან აღდგომის მეორე დღეს, მიცვალებულები მოიხსენონ საფლავების კურთხევით და პანაშვიდებით. ძველათ კი (მეც მოესწრებივარ), საფლავზე ვადიოდა მთელი სოფლის ხალხი მღვდლითურთ, ვაშ-

ტანდენ ყველანი თავ-თავიან მიცვალეზლების შესანდობლად აღაპს; კარგს სასმელს და საქმელსა გაშლიდენ სასოფლო სუფრას დასხდებოდენ წირვის შემდეგ, საზოგადო პანაშვიდის გადახდის შემდეგ სუფრაზედ და თავიანთი ძველის ძველი და ახალი მიცვალეზულთა მოსახსენებლად აღაპსა სქამდენ. ეს უფრო კათოლიკებში სუფევდა. მართლ მადიდებელთა შორის კი საკურობს გაიტანდენ ხოლმე საფლაგზედ, თავიანთი ახალ მიცვალეზულები-სათვის. ახლაც იციან საკურობი.

მიმლოცვა ეკლესიებზე

ჯვახები დღესასწაულებში მიდიან თავიანთ სამლოცველო ეკლესიების მიმოსალოცვათ. თუ შორსაა, წინ დლით, ურმით ან ცხენებით თავიანთი საწუთრო სამხადისით გასწევენ; იმ ღამეს, მლოცველნი, მეტადრე მართლ მადიდებელნი მუსიკა დაირაზე ცეკვით ათენებდენ ხოლმე, ხშირათ, მეორე დღეს, ნაწირობევის, რა ისადილებენ იქვე ეკლესიის ეზოში, ისე დაბრუნდებიან სახლებში: ზოგი კი მეორე დღეს ბრუნდებიან. ნადიმზე შემდეგ საღმრთო სასწაულო სიმღერებს ამბობენ:

ვარძიასა გადვიხედე,
ტურფათ იღვა ქალი, სძალის ჯარი;
მორთული და მოკმაზული
წინ ესენა ხატი, ჯვარი!

მეგარძიას შეკვეთილი ზოგან წყალით,
ჩემი პურიით და ღვინითა, როდის იქნება
დავბრუნდე სიხარულითა, ღვინითა;

მე ვარძიასა ღვთიმშობელმან,
ქმარი ავთ გამიხადა;
არც მოჰკლა, არც დაარჩინა,
საეკიძოთ გამიხადა....

ვარძიასა გადვიხედე;
ტურფათ იღვა ქალი, სძალი,
მორთული და მოკმაზული,
წინ ესენა, ხატი ჯვარი,

ვარძიას შეკვეთილი ვარ,
ჩემი პურიით და ღვინითა;
როდის იქნება დავბრუნდე
სიხარულით და ღვინითა!..

ჯავახური ანებდოყები

I

ბატონი და მისი მოჯამაგირე

მტკერის ხეობაში, ერთ შეძლებულს ჯავახს დიდებული ნადიმი ჰქონია გამართული, სადაც უდიდებულესი სტუგრები ჰყოლია და პატივებული. შექირებულ მასპინძელს თავისი მოჯამაგირე ჰყოლია, რომელიც ღირსეულათ ემსახურებოდა თურმე წვებულთა.

— ღვინო მორითვით ჩვენს მორიქიფეს, დაგვლოცოსო, წამოიძახა ერთ-ერთმა დიდებულთაგანმა.

— მოჯამაგირეს თან ღვინო, მე რომ ვსვამ, მავას, ისეც უჯდებო, დაამატა სტუმრის სიტყვას მასპინძელმა.

— თავიმოწონე მერიქიფეს ძალიან ეწვინა თავის ბატონის ასეთი აგდებული სიტყვები. რა ისადილეს, ბატონმა მოჯამაგირე ვენახის მოსარწყავათ გაგზავნა.

მოჯამაგირემ რომ ერთი დარიჯი, რომ მორწყო, მეორე დარიჯი მოურწყავი გაუშვა; მოსამე — მოურწყო, მეოთხე — გაეშვა და ასე მორჩენილიყო თავის საქმეს.

სალამოს ხანს, ამისი ბატონი თავისი სტუმრებით მისულიყო ვენახის სანახავათა და რომ აკრებულათ ნახა მორწყილი დარიჯები, გასწყრა ბატონი და ჰკითხა.

— ეს რაი თავი ავიგდია, ბიჭო და არ მოგირწყია მთელი დარიჯები, რას ნიშნავს, გამაგებზე ჩქარა?...

— ძალიან კარგი მორწყული გახლავთ, ბატონო, პირველი და მორწყული დარიჯისაგან, მეორე მოურწყავს დარიჯებს გაუჯდებო. მიუგო თავაზიანათ მოჯამაგირემ.

— როგორ გაუჯდება! გაკვირვებით ეკითხება ბატონი.

— ისე, როგორც თქვენ სვამდით ღვინოს და მე მიჯდებოდაო.

მიუგო ყოჩილათ თავი, გულნადები მოჯამაგირემ.

— ხა-ხა-ხა! გაიციეს ყველა სტუმრებმა, რომელთაც მოეწონათ თავიანთი მერიქიფის ცოცხალი მოსწრებული სიტყვა და მექიმე თვითონვე მიეძბრენ, რათა ჩქარა მოწყობი-

ბილიყო ვენახი. რომ მალე დაბრუნებულიყვენ მასპინძლისას და კარგათ გამოეთროთ იგი დასაჯილდოებლათ.

II

როგორ უკეთებია სიშიანობაში ერბო ყველი.

ორსაც (საროშია)-ს გაღმა, მტკვრის პირზე (საკვირიკო მთის ძირში) ძველადგან სოფ. მოქცევი ყოფილია, დღეს კი ნანგრევები ძლივს მოჩანს იქა. როდესაც ლეკები აწუხებდნენ შვეიდრთა, სხვათა შორის მოქცეველებსცა — თავიანთი საქოსელი იალათ, საკვირიკო, იმავ მთის წვერზე ჰყოლიათ, სამიოდევრისის, მოშორებთა. და რადგანაც თვით იალაღზედაც საშიში ყოფილა ნაწველი რამით დამუშავება ერბო ყველით, ამიტომაც წვერიდან, მთის ძირამდის მიწაში ჩამარხული მიღებით უდენიათ რძე და ისე უშადებიათ მოქცევი მთის წვერზე მონაწველი, რძე ასე, ათი წლის განმავლობაში ამზადებდნენ თურმე. ბოლოს, როგორცა მომხდარა, რომ მილიდგან რძეში უსახელო (გველი) გამოყოლია, ამის ზიზლით მოუსპიათ იმ მიღში რძის დენა და შემდეგ კი სხვა მოსაზრებას დასდგომიან. მოქცეველები.

III

მტკვრის ხეობა

ველათ მტკვრის ხეობა, თვით საკვირიკო მთის ფერდობებითურთ დიდი და ხშირი ტყით და ვენახებით მოცული ყოფილა; დღეს კი, ისე გადატიტვლებულია, რომ ოდნივ ბაოახსაც ძლივას შენიშნავთ, და აქა-იქ მცირე ბაღიან სოფლებსა.

ეს ტყე ვენახები ლეკებს გადაუწვავთ, რის გამო ტყის წყარო ნაკადულები დამშრალა უტყეობით და ამიტომ გადახრუკულია უწყალობით ამოდენა ადგილები და უდაბნოს დამსგავსებია.

IV

ზემო მუხლში ხსენებუ საკვირიკო მთის ფრთები, სოფ. დაღეშში, ისეთი ჯიშის ყურძენი სკოდნია, რომ თვითო მისი მტევანი ასს იყვას იწონიდა თურმე, ამ სოფელში საროდან,

რომელიც გამოღმა მტკვრის ხეობისავე, ქარაფის პირზედაა გაშენებული, და გაღმა დაღეშს პირდაპირ უყურებს, რემდენიმე ვერსის მანძილზედ, დაინახა თურმე ერთმა უცხოუ მისულმა სტუმარმა იქაურ ვენახში ვაზზე ჩამოკიდებული უშველებელი მტევანი, რომელიც კამეჩი ეგონა რა დაარწმუნეს საროელებმა ყურძენიაო და იგი მაინც არ უჯერიდა, დაენადლია ის ვინძლას. დანაძლეულ სტუმარმა თვითონვე დაირბინა უძირო ხრინტე—ხევი, გავიდა მტკვარში, აირბინა დაღეშში და რა ნახა რომ კამეჩის მაგიერ, მართლა ყურძნის მტევანი გამოდგა, გაკვირვებულმა დააღი ხახა, და ის წაგებური სანაძლეოც ბოლოკათაც არ ჩაგდო თურმე.

(გასაგრძობია).

რედ.ქტორ-გ.მ.ამცეკელი
მ. პ. დ. მულაშაწვილი-პაწაძე.

მ. გ. ჯანაშვილი

საქართველოს ისტორია

ტომი I.

უუძველეს დროიდან 995 წლ. ქრ. შ.

ამ ტომს ერთვის ა) ოთხი რუქა 1) თარგამოსის-შვილების სამეფო, 2) კავკასია, 3) კავკასია და მცირე აზია მე-IV საუკ. ქრ. წ., 4) საქართველო, პონტო და სომხეთი II—I საუკ. ქრ. წ. და ბ) ქრონოლოგიური ტაბულები (მეფენი ქართველთა, აფხაზთა, სომეხთა, სპარსთა, ხალიფები არაფთა).
ფასი ერთი მანკათა.

სტამბა „ნიღმელი“ (მ. დ. კენაძისა)
ნიკოლოზის ქუჩა, შილოვის სახლი № 6.